ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები

I V კვარტალი, 2023

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი

- ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა

2023 წლის მე-4 კვარტალში გაგრძელდა ღონისძიებები, რომლებიც ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმებსა და შედეგებზე, მოსახლეობის დროული და სისტემატური ინფორმირება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მიმდინარე და გახსნილი საქმეების შესახებ სამინისტროში ჩატარებული ბრიფინგები.

აღნიშნული ბრიფინგების შესახებ ინფორმაცია, სხვადასხვა სატელევიზიო არხების მეშვეობით, გადაიცემა პირდაპირ ეთერში ასევე, ინფორმაცია ვრცელდება ინტერნეტ სააგენტოებისა და სამინისტროს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდის საშუალებით.

აღსანიშნავია, 2023 წლის 27 დეკემბერი, როდესაც სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, 2023 წლის შემაჯამებელ ბრიფინგზე, დეტალურად ისაუბრა ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გატარებულ საპოლიციო ღონისძიებებსა და შედეგებზე. ასევე, ყურადღება გაამახვილა მასშტაბური და კომპლექსურად ჩატარებული ოპერაციების, ნარკორეალიზატორებთან წარმატებული ბრძოლის შედეგების საფუძველზე არაერთი ნარკორეალიზატორის დაკავების ფაქტზე.

2023 წელს გაგრძელდა კრიმინალური დოკუმენტური სერიალის - **„პოლიციის ფაილები“** გადაღება და ეთერში განთავსება. სერიები, რეალური შემთხვევების ჩვენებითა და პოლიციის საქმიანობის დეტალების გაცნობის გზით, მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და პოლიციის მიმართ მოსახლეობის ნდობის გაზრდას.

2023 წლის მე-4 კვარტალში გადაღებულ და ეთერში გაშვებულ იქნა კრიმინალური დოკუმენტური სერიალის - „პოლიციის ფაილები“ მე-7 სეზონის 7 (შვიდი) სერია. აღნიშნული სერიები გაშუქდა „რუსთავი-2“-ის სატელევიზიო ეთერში და განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ არხებზე. სერიები მიეძღვნა გახმაურებულ კრიმინალურ საქმეებს. ერთ-ერთ სერიაში განხილული იყო - „ოქროს მონეტების საქმე“. სერია მიზნად ისახავდა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას „კანონიერ ქურდობასთან“ ბრძოლის კუთხით.

ერთი სერია მიეძღვნა ნარკოდანაშაულთან ბრძოლას, სადაც სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები საუბრობდნენ უმძიმეს დანაშაულზე - ნარკორეალიზაციაზე, ნარკოდამოკიდებულებასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ნარკოტიკების მავნე ზეგავლენის ჭრილში. ასევე, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა-გავრცელების მსოფლიო გამოწვევებსა და ბრძოლის მეთოდებზე.

კრიმინალური დოკუმენტური სერიალის - „პოლიციის ფაილების“ მე-7 სეზონის ბოლო სერია წარმოადგენდა შემაჯამებელ ფილმს, 2023 წელს სამინისტროს მიერ სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებზე, მათ შორის, განხილული იყო კრიმინალთან ბრძოლა, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, საერთაშორისო თანამშრომლობა, საკანონმდებლო ცვლილებები, მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა და სხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები.

აღსანიშნავია, რომ პოლიციის ფაილების შემაჯამებელ სერიაში სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ვრცლად ისაუბრა ორგანიზებულ დანაშაულზე, მასში შემავალ სახეობებზე, ნარკოტიკებსა და

ნარკორეალიზატორებთან ბროლის მეთოდებზე, არსებულ გამოწვევებსა და მათი დაძლევის შედეგებზე, ქურდულ სამყაროსთან ბრძოლისა და, კიბერ დანაშაულთან ბრძოლის მეთოდებზე, ტრეფიკინგის რისკებსა და არასრულწლოვანთა მიმართ გამოვლენილ დანაშაულზე. ასევე, განხილულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუდმივი კოორდინირებული თანამშრომლობა.

- საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სისტემა

2023 წლის 13 დეკემბერი - სამინისტრომ კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, მართლწესრიგის ოფიცრების საქმიანობის არეალი გააფართოვა და სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოში მართლწესრიგის 20 ოფიცერი მუშაობს. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, მართლწესრიგის ოფიცრები მინიჭებული მანდატის ფარგლებში, მუდმივ კომუნიკაციაში არიან თავიანთ სამოქმედო არეალში მცხოვრებ მოქალაქეებთან.

მართლწესრიგის ოფიცრების შერჩევა საკონკურსო წესით მოხდა, რის შემდეგაც კონკურსში გამარჯვებული კანდიდატები სამინისტროს სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში რამდენიმე კვირიანი ინტენსიური პროფესიული სწავლება გაიარეს. აღნიშნული ინფორმაცია სამინისტროს ოფიციალურ გვერდსა და ფეისბუქ გვერდზე განთავსდა.

2023 წლის 30 დეკემბერი - კრიმინალური დოკუმენტური სერიალის - **„პოლიციის ფაილები“** შემაჯამებელ სერიაში განხილული იყო კრიმინალური პოლიციის რეფორმის მიმდინარეობა და მართლწესრიგის ოფიცრის გაფართოების არეალი.

- საგზაო უსაფრთხოება

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტროს ავტორობით მომზადდა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლითაც ცვლილება შევიდა საქართველოს

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში. ცვლილებების თანახმად, 1 დეკემბრიდან - 1 მარტამდე პერიოდში, გზის ცალკეულ მონაკვეთებზე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა სავალდებულო გახდა ზამთრის საბურავებით. დადგენილებით, ასევე, დამტკიცდა იმ ადგილის/გზის მონაკვეთების ჩამონათვალი, სადაც ზამთრის პერიოდში სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა სავალდებულოა ზამთრის საბურავებით ან/და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვით. სიახლეების შესახებ ინფორმაციები და ბანერები განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ წყაროებზე. ინფორმაცია გავრცელდა სააგენტოებისა და მედიის საშუალებით. აღნიშნულ თემაზე მომზადდა სიუჟეტები და ჩართვები სხვადასხვა არხზე.

სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორები, თბილისის №221-ე საჯარო სკოლას „მეგა“ ესტუმრნენ. სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა აღნიშნული სკოლის მე-2 კლასის მოსწავლეებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების თემაზე თეორიული გაკვეთილი ჩაუტარეს. სამართალდამცველებმა მოსწავლეებს ინფორმაცია მიაწოდეს საგზაო უსაფრთხოების, საგზაო მოძრაობის მონაწილეების (მგზავრის, მძღოლისა და ქვეითის მოვალეობების), ძირითადი საგზაო ნიშნებისა და ე.წ „ზებრა“ გადასასვლელების შესახებ.

შეხვედრაზე ბავშვების მიერ დასმულ შეკითხვებს ამომწურავად უპასუხეს.

სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტომ 2023 წლის IV კვარტალში გააგრძელა საინფორმაციო კამპანია სააგენტოს ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე, რომლის ფარგლებშიც ქვეყნდება მოქალაქეებისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციები სააგენტოს სერვისების შესახებ.

2023 წლის 27 ოქტომბერი - მომზადდა ვიდეორგოლი სამინისტროს სსიპ - მომსახურების სააგენტოს მობილური აპლიკაციის,მისი ფუნქციონალის სისწრაფისა

და სიმარტივის შესახებ. ვიდეორგოლში დეტალურად არის ასახული აპლიკაციაში რეგისტრაციის წესი და ელექტრონული).

2023 წლის 29 ოქტომბერი - გადაცემაში „კვირის პოსტი“ მართვის მოწმობის გაცემის წესთან დაკავშირებით გავიდა ვრცელი სიუჟეტი, სადაც სიახლეებზე ვრცლად ისაუბრაბ მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილემ.

- <u>სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური</u>

2023 წლის 27 ოქტომბერი - სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის და სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს თანამშრომლებმა, ქ. ბათუმში, სასტუმრო „ჰილტონში“ სახანძრო-საევაკუაციო სიმულაციური სწავლება ჩაატარეს.

ღონისძიება საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესების, ხანძრის ქრობის, სასტუმროს პერსონალისა და დაშავებულთა ევაკუაციის სავარჯიშოებს მოიცავდა. აღნიშნული ტრენინგის ფარგლებში მეხანძრე-მაშველების მიერ, შესაბამისი სპეციალური ტექნიკის და აღჭურვილობის გამოყენებით, ურბანული ხანძრის დროს მოქმედების ყველა აუცილებელი კომპონენტის დემონსტრირება მოხდა. სწავლება სასტუმრო „ჰილტონის“ დაკვეთით ჩატარდა და მის მიზანს საგანგებო სიტუაციების დროს სასტუმროს სტუმრებისა და პერსონალისთვის ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა.

ღონისძიებაში სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, ჩართულნი იყვნენ სამინისტროს საპატრულო და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლები, ასევე საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომლები. ინფორმაცია გამოქვეყნდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ვებგვერდსა და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე.

2023 წლის 2 ნოემბერი - სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ხობის, აბაშის, სენაკისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტებში, თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებზე სწავლება ჩაატარა. ღონისძიების ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობისთვის, მეხანძრე-მაშველთა სპეციალური ტექნიკისა და აღჭურვილობის გამოფენა მოეწყო. ღონისძიება გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით, ფართომასშტაბიანი პროგრამის ფარგლებში ჩატარდა. აღნიშნული პროგრამა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფებისგან დაცვას ემსახურება. ინფორმაცია გამოქვეყნდა სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ვებგვერდსა და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე.

2023 წლის 12 დეკემბერი - სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა, სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ მოზარდთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, ქ. თბილისის, ჭიათურის, ქუთაისისა და ახალციხის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 10-მდე სკოლაში, ასევე, ქ. რუსთავის საჯარო სკოლაში თეორიული და პრაქტიკული სწავლება ჩაატარეს.

სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სკოლის პედაგოგებს საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესები დეტალურად გააცნეს. მეხანძრე-მაშველებმა კი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის, რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, შენობიდან ევაკუაციის სწავლება განახორციელეს. ინფორმაცია გამოქვეყნდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ვებგვერდსა და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე.

- <u>სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“</u>

სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს „112“ (შემდგომში - „112“), პროექტის – „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდა“ – ფარგლებში, 2023 წლის ოქტომბრის თვეში, საჯარო და კერძო სკოლების 150-მდე მოსწავლე ეწვია. „112“-ის წარმომადგენელმა მოზარდებს გადაუდებელი დახმარების ნომრის სწორად გამოყენებისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები გააცნო. მოსწავლეებმა ინფორმაცია მიიღეს იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს გადაუდებელი შემთხვევა, რა ნომერზე უნდა დარეკონ მსგავსი შემთხვევების დროს და როგორ უნდა ითანამშრომლონ „112“-ის ოპერატორთან. მოზარდებს, ასევე, განემარტათ არამიზნობრივი ზარის განხორციელების საფრთხეები და სანქციები, რომლებიც ცრუ ზარის განხორციელების შემთხვევაშია გათვალისწინებული. 2023 წლის 2 ნოემბერს, აღნიშნული ინფორმაცია/ფოტოები განთავსდა სამინისტრსო სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ - ის ოფიციალურ ვებგვერდსა და „Facebook“ გვერდზე.

2023 წლის 1 ნოემბერი - სამინისტროს „112“-ის, პროექტის – „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდა“ – ფარგლებში, ნოემბრის თვეში, საჯარო და კერძო სკოლების 600-მდე მოსწავლე ეწვია. „112“-ის წარმომადგენელმა მოზარდებს გადაუდებელი დახმარების ნომრის სწორად გამოყენებისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები გააცნო.

მოსწავლეებმა ინფორმაცია მიიღეს იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს გადაუდებელი შემთხვევა, რა ნომერზე უნდა დარეკონ მსგავსი შემთხვევების დროს და როგორ უნდა ითანამშრომლონ „112“-ის ოპერატორთან. მოზარდებს, ასევე, განემარტათ არამიზნობრივი ზარის განხორციელების საფრთხეები და სანქციები, რომლებიც ცრუ ზარის განხორციელების შემთხვევაშია გათვალისწინებული. აღნიშნული ინფორმაცია/ფოტოები განთავსდა „112“-ის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდსა და „112“-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.

- **სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი**

2023 წლის 10 ოქტომბერი - სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველოს ციხის ჯვრის განყოფილებას ამავე რეგიონის, სოფელ ტაბაწყურის საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ. ღონისძიების მიზანი იყო მოზარდების ცნობიერების ამაღლება და მათი ინფორმირება მართლწესრიგისა და უსაფრთხოების შესახებ.

სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა მოსწავლეებს გააცნეს დეპარტამენტის მუშაობის პრინციპები და სპეციფიკა, დასაცავი ობიექტების, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენებისა და მათი ინფრასტრუქტურული ობიექტების სტრატეგიული დანიშნულება. ასევე, ისაუბრეს აღნიშნული სტრატეგიული მილსადენების დაცვის მნიშვნელობასა და უსაფრთხოების ზომებზე. დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოსწავლეებს ინფრასტრუქტურა და მოზარდებისთვის სპეციალურად მოწყობილი გამოფენა დაათვალიერებინეს, სადაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ტიპის სპეციალური აღჭურვილობა, სატრანსპორტო საშუალებები და ტექნიკა, სამთო და სამხედრო აღჭურვილობა. დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების სამმართველოს თანამშრომლებმა სპეციალური სამთო-სამაშველო უნარ-ჩვევები გამოავლინეს. აღნიშნული ინფორმაცია სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე განთავსდა.

- **სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი**

2023 წლის 8 ოქტომბერი - სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ეროვნული ქსელის მიერ, გაეროს მოსახლეობის ფონდის UNFPA მხარდაჭერით გამართულ უკრაინელი ლტოლვილებისა და მოხალისეებისთვის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის განკუთვნილი სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ, საინფორმაციო შეხვედრაში.
შეხვედრას დაესწრო 30-მდე პირი. აღნიშნული ინფორმაცია UNFPA-ის ოფიციალურ გვერდზე განთავსდა.

2023 წლის 31 ოქტომბერი - სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გოგონათა საერთაშორისო დღის ფარგლებში, იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის ბენეფიციარებთან და თანამშრომლებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართეს. დეპარტამენტის წარმომადგენლებმა არასრულწლოვნებთან ისაუბრეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: ბავშვთა უფლებები, თანასწორობის არსი და დისკრიმინაციის დაუშვებლობა, არასრულწლოვანთა მიმართ ონლაინ სივრცეში ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები და მათი პრევენციის გზები.

2023 წლის ნოემბერი - UNFPA-ის ორგანიზებით, საგარეჯოს, თელავის, ყვარლის მუნიციპალიტეტების სოფელ ლამბალოს, ბადიაურის, კურდღელაურისა, ახალსოფლის, ყარაჯალისა და ქ. ყვარლის საჯარო სკოლებში, სკოლის მოსწავლეებთან და რეფერირების სუბიექტებთან, ნაადრევ ასაკში ქორწინების თემაზე საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები გაიმართა. შეხვედრის მიზანს ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული დანაშაულების აღმოფხვრა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ამ კატეგორიის დანაშაულების შესახებ

სამართალდამცველებისთვის დროული შეტყობინების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. აღნიშნულ საინფორმაციო შეხვედრებს 200-ზე მეტი მოსწავლე დაესწრო. ინფორმაცია გავრცელდა UNFPA-ას ოფიციალურ გვერდზე.

2023 წლის 13-18 ნოემბერი - სამინისტრო შეუერთდა „თანასწორობის კვირეულს“, რომლის ფარგლებში სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა შეხვედრა გამართეს ქ. თელავში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც შეხვდნენ სტუდენტებს და ისაუბრეს სახელმწიფოში თანასწორობის მნიშვნელობაზე. დამსწრეებს გააცნეს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა და არსებული გამოწვევები. შეხვედრას ესწრებოდა 30-მდე პირი. მონაწილეებს გადაეცათ სამახსოვრო ნივთები..

აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვანი აქტივობები განხორციელდა სხვადასხვა მიმართულებით, რომლის შესახებ ინფორმაციები სამინისტროს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდსა და ოფიციალურ გვერდზე განთავსდა.

2023 წლის 25 – 10 დეკემბერი - სამინისტრო შეუერთდა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ გლობალურ 16 დღიან კამპანიას, რომლის ფარგლებში, სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა უწყების და ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ თემატურ ღონისძიებებში. აგრეთვე, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, გამართეს სხვადასხვა სახის ღონისძიებები. კამპანიის ფარგლებში სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორმა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და ადმინისტრაციის თანამშრომლებთან, სტამბულის კონვენციის იმპლემენტაციის შედეგად გადადგმულ ნაბიჯებზე, ,,1325“ რეზოლუციის შესრულების ანგარიშზე, გენდერულ ჭრილში ევროკომისიის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე, ადამიანის უფლებებსა და

თანასწორუფლებიანი გარემოს უზრუნველყოფის თაობაზე საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართა, შეხვედრას 40-მდე სტუდენტი ესწრებოდა. კამპანიის ფარგლებში გაიმართა კონფერენცია: „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, როგორც ძალადობისგან დაცვის ფარი - არსებული მექანიზმები და გამოწვევები რეგიონში“ და ბარბარე ჯორჯაძის სახელობის პრემიის, 2023 წლის დაჯილდოება. კონფერენცია ქალთა მიმართ ძალადობის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში დაიგეგმა და სხვადასხვა უწყების, საჯარო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი მონაწილეობდა.

2 მილიონზე მეტ აბონენტს, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში პოლიციისათვის მიმართვის გზებზე, მოკლე ტექსტური შეტყობინებები გაეგზავნათ.

დეპარტამენტის წარმომადგენელმა გენდერული ძალადობის, კიბერდანაშაულისა და კიბერ უსაფრთხოების საკითხებზე, მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან, ქართული ოცნების ქალთა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა. შეხვედრებს 220-მდე პირი ესწრებოდა.

შეხვედრები გაიმართეს ქ. თბილისის, გურიის, კახეთის, ქვემო და შიდა ქართლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და მცხეთა-მთიანეთის ადგილობრივ მოსახლეობასთან, მათ შორის, თვითმმართველობის წევრებთან, მოსწავლეებთან, სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან, ამასთანავე დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, სხვადასხვა რეგიონის მუნიციპალიტეტების და საგანმანათლებლო დაწესებულებების ინიციატივითა და მოწვევით სკოლის მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან არაერთი საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარეს.

შეხვედრებს ჯამში დაესწრო 600-მდე მონაწილე.

სამინისტროს წარმომადგენლებმა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, რადიო გადაცემებსა და სხვადასხვა ბეჭდურ მედიასაშუალებებში ისაუბრეს.

კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები მიზნად ისახავდა ოჯახში და ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის უწყებაში არსებული მექანიზმების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას, ასევე, პოლიციისათვის მომართვის გზებსა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობისთვის საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობაზე ხაზგასმას. აღნიშნული ინფორმაციები განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ გვერდებზე.